საერთაშორისო კონფერენცია: „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები“

2017 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია - ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: სტრატეგიები და გამოწვევები - IHE 2017- Internationalization in Higher Education: strategies and challenges. კონფერენციის ორგანიზატორები იყო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტი.

ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის საგრანტო პროექტის Re-THINKe-ის (Reform of Education Thru International Knowledge exchange - განათლების რეფორმა ცოდნის საერთაშორისო გაცვლის საშუალებით) პროექტის ფარგლებში

კონფერენცია ეხებოდა საგანმანათლებლო სისტემაში საერთაშორისო ურთიერთობებისა და ცოდნის გაზიარების საკითხებს.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე სიტყვითა და მოხსენებით გამოვიდნენ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ბ-ნი არჩილ ფრანგიშვილი; ლისაბონის არქიტექტურის ფაკულტეტის პრეზიდენტი ჟუაო პარდალ მონტეირო; პორტუგალია; ტემპუსის RETHINKe პროექტის ხელმძღვანელი ოქსანა რიბაკი - ტურჩანინა (პორტუგალია), ლისაბონის უნივერსიტეტის პროფესორი, RETHINKe პროექტის აკადემიური ნაწილის ხელმძღვანელი - ანტონიო კასტელბრანკო (პორტუგალია); RETHINKe პროექტის კოორდინატორი ტექნიკურ უნივერსიტეტში ნინო ჩაჩავა (საქართველო).

მათ აღნიშნეს პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, მათ შორის ორმაგი ხარისხის პროგრამების მომზადება, როგორც უმაღლეს განათლებაში ცოდნის გაზიარების, საკუთარი გამოცდილების, ეროვნული მიღწევების გააზრების, შეფასების ახალი პლატფორმა და მიუთითეს საერთაშორისო ევროპული სტანდარტების სივრცეში ამ პლატფორმის გამოყენების აქტუალობასა და შესაძლებლობებზე.

ასევე დამსწრე საზოგადოებას კოორდინატორებმა მიაწოდეს ინფორმაცია RETHINKe პროექტის ფარგლებში საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად, ახალი ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების შესახებ. მათ შორის, ლისაბონის უნივერსიტეტთან ორმაგი ხარისხის სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამა - „მდგრადი ურბანისტიკა“, ხელმძ. ნინო ჩაჩავა; ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა „არქიტექტურა“, ხელმძ. დავით ბოსტანაშვილი; აკორუნას უნივერსტეტთან (ესპანეთი) -

ქართულ და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, „ჰიდროგეოლოგია და გარემოს დაცვა“, ხელმძღვანელი ნოდარ ფოფორაძე (სამთო გეოლოგიის ფაკულტეტი).

კოორდინატორებმა ხაზი გაუსვეს ორმაგი ხარისხის არქიტექტურისა და მდგრადი ურბანისტიკის პროგრამების შიდასაუნივერსიტეტო ხელშეკრულებებს, რომლებიც დაიდო პროექტის ფარგლებში ლისაბონის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, სადაც განისაზღვრა ამ პროგრამების განხორციელების პირობები, ფორმები და საშუალებანი.

ასევე აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ მდგრადი ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამა საქართველოში გადის აკრედიტაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საერთაშორისო კომისიის წინაშე.

RETHINKe პროექტის შედეგების განვითარების მორიგი წარმატება იყო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ერაზმუს პლუს K1 პროგრამის უმაღლესი განათლების სტუდენტურ და საშტატო მობილობის პროექტზე საზეიმო შეთანხმება. ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პრეზიდენტმა ჟუაო პარდალ მონტეირამ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა ხელი მოაწერეს შიდა საუნივერსიტეტო ხელშეკრულებას სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქართველი სტუდენტები ნახევარი წლით გაემგზავრებიან ლისაბონის უნივერსიტეტში, ლისაბონელი სტუდენტები კი ჩამოვლენ საქართველოს ტექნკურ უნივერსიტეტში; ორივე უნივერსიტეტში პედაგოგებისთვის განხორციელდება ხუთდღიანი საქმიანი მივლინებები.

პლენარული სხდომის შემდეგ სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა სექციის: „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“ მუშაობა, სადაც წარმოდგენილ იქნა მოხსენებები საკუთარი გამოცდილების, საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემასთან შედარებითი ანალიზის, ახალი საერთაშორისო ტექნოლოგიების, ელექტრონული სწავლებისა და უმაღლესი განათლების სისტემაში სხვა საერთაშორისო საკითხების შესახებ.

პროექტ RETHINKe პროექტის კოორდინატორი, ნინო ჩაჩავა

Estudantes Internacionais
5.412


PLANNING AN
ARCHITECTURAL PROJECT
TOWN PLANNING ISSUES AND THE DESIGN PROCESS